


გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტო შაური, ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ აღრისით უნდა გამოგზავნონ: ВЪ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЗБА“.



ხელის-მოწამი

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი აღრისით უნდა დაიბარონ:
ВЪ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЗБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ შირიძის სახლებში.

კანტორა: მეზღვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მედინზე, შატეროვის სახლებში.

ზინაარი

საქართველო: აზნაურების მოვალეობა — წერილი ამბები — „დროების“ კორრესპონდენცია: ზუგდიდიდან — მოსკოვიდან — რუსეთი: წერილი ამბები — საყოველთაო სმხედრო სამსახურის წესდება — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — ესპანია — კორრესპონდენცია პარივიდან ნარევი. ველტონი: ქალის მოძღვრება თფილისში, N-ისა.

საქართველო

აზნაურების მოვალეობა

საზოგადო სასიკეთო საქმეში მონაწილეობის მიღება, იმისთვის შრომა და სარგებლობის მოტანა — რაღა კიდევ ამაზედ უფრო ღირსეული კაცისთვის? ჰეშმარტია, ყოველ ტოტადენათ განხილი ადამიანის შეცადინება და სურვილი იმაზედ უნდა იყოს, რომ იმანაც თავის მხრითრაიმე შექსძინოს საზოგადო კეთილდღეობას; მაგრამ სამწუხაროთ ეს არ ხდება ყოველთვის ასე.

ფელტონი

ქალის მოძღვრება თფილისში.

ზუშინდელი დღე რომელი თფილისის მცხოვრებისთვის არ იქნება სამახსოვნო, რომელი მსმენელი იქნებოდა ისეთი, რომ მას გული არ აღლევებოდა, არ ათრთოდა, სიამოვნებით არ აღესილიყო მისი გული! მე ვამბობ გუშინდელ ლექციაზედ, რომელიც სიმონოვიჩისამ წაიკითხა. მინ არ იცის, რომ აქამდის ქალებს ყოველივე საზოგადოების საქმეში ხელის შეტობვა აკრძალული ქონდათ; ისინი იყვნენ მონებათ, იმათ ოჯახის ზედამხედველობა ებარათ მართლ; ქმარი ცოლს ძვირათ დაეკითხებოდა, ცოლიც არ სთელიდა საჭიროდ რამე ერჩია ქრმისთვის. ღღეს? ღღეს ჩვენს წინ ქალი თამამად ადის კათედრაზე და იქილამ გვასწავლის, გვიჩვენებს, გვიხსნის გონებას, გვიღვიძებს. მერმე თფილისში! მართალია, ქართველისთვის არ არის გასაკვირი, რომ ქალი დიდ ქუდას და ცნებას იჩენს, მაგრამ საუბედუროდ ქართველი როდია დაჩეუული ამისთანა თვისებებში უბრალო ხალხის ქალში ნახოს: ქართველს უნახავს ჩვენი მეფეების შთამომავლობის შესამჩნევი ქალები; მაგრამ ეს, მისი ფიქრით, როდი აძლევს ნებას უბრალო ქალებმაც თავი წამოჰყონ. რეტროგრადებს, რუტინისტებს, ადამის-წლის სულებს ვერას გზით ვერ დაარწმუნებდით, რაც არგუმენტები, დამტკიცებები, მოსაზრებები უნდა მოგეყვანათ; ისინი ვერ შორდებოდნენ თავის ცრუ მოაწმუნებობას, ისინი ყოველთვის ამბობდნენ, ქალი ქმრის გვერდიანა, მონაა... ღღეს რას იტყვიან ისინი? ღღეს იმათ თვალების დასათხრელად ქალი ისეთს რასმე ამბობს, რომ იმათ ტვინს უბრუნებს,

არ დაანახოს კაცს თავისი დაჩაგრული მდგომარეობა. მაგრამ, აღრე თუ გვიან, ის, რაც საუკუნოებით მიღებულია ჰეშმირიტ და სამართლიან საქმეთ, უთუოდ გაიმარჯვებს. რა გინდ ბევრი და დიდი სათავეები არ გაუკეთოთ, შეგუბებული პროგრესის ერთ დღეს მთლად ერთიანად ჩაიტანს თქვენს დიდ ხანს ნაჭრანახულს და შთამომავლობისთვის გააწმინდება გზა. ისტორიაში ამისთანა მაგალითები საძებრათ როდია! მხლა ჩვენ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, მეორე მიზნზედ, რომელიც აბრკოლებს კაცს კეთილის შრომისთვის: ახალგაზდა ქაბუკი შედის ესთქეთ ისეთ საზოგადოებაში, როგორც ჩვენია. პირველად ის მიედმოედება, ესეც უნდა გააკეთოს, ექაც უნდა დაეხმაროს. მაგრამ, როდესაც ხელაგ საზოგადოების გულ-გრილობას მის საკუთარს საქმეში, დამბრკოლებას და ხათაბალას, მაშინ ის სასოწარკვეთილი ნელ-ნელა იწყებს სიარულს სულ უკან და უკან: მს უკუნქცევითი მგზავრობა სრულდება მართლ მაშინ, როდესაც საკუთარი თავის ინტერესის კიდელთან მოსულა ზეგრის დამამიდებელი

ნებს, უდაბურს ტყეში გზას ჰკაფავს და ამაყად მიქროლავს მოპაეალისკენ. მს მაგალითი ყველა ტრაქტატებზედ უფრო შეგონებელია, ამ მაგალითმა მრავალი თავგადაშეღვნილები გააოცა; იმათ გადისვეს ხელი გამინდგრებულ თავზედ და ერთი საწინააღმდეგო სიტყვა არ შეხვედრიათ. ნუ თუ ეს აღვირ უსხმელი ადამის წლის სულეები აღარ დაცხრებიან, ნუ თუ შენატრიან კიდევ მოპაეალს? ლექციის კითხვის დროს პირველად ის გაკვირვებდათ, რომ ჯერ კიდევ ახალგაზდა ქალი აგრე აუღლევებოდა, წყნარად, მშვიდობიანათ გვემუხსაფებოდა; ყოველი სიტყვა სრული მისი რწმუნება იყო და არსად სჩნდა უმინშენლო ფრაზეოლოგია, თვალმაქცობა და სხვა და სხვა გაზომილი ხელის ქნევა, გაზომილი გულის გამოზიდვა, სათვალეების ბრუნება, ერთის სიტყვით ყველა თითქოს საჭირო ქცევა ლექტორებისა. რა განსხვავებული შთაბეჭდილება მოახდინა ამ ქალმა თუ. ზორდიევისკის და მრიცოვის კითხვების შემდეგ! იმათგან გესმოდათ ათასწიარდ ნახარჩი, ნაღვი, ნაჯახირევი სიტყვები, ამისგან კი მართლ საჭირო, მიზნის მისაღწევი, აზრიანი მოკლე სიტყვები. პირველებზედ ამბობენ, მშვენიერად წაიკითხესო, მაგრამ შინარსი ვერ გაეგეთო, მეორეს სიტყვები, მეორეს აზრი კი ყველას ახსოვს, ყველამ გაიგო, ყველამ მოინელა; იმათ აცინეს ამასხრეს, აშფოთეს, რასაკვირველია, ფრაზებით, უკანასკნელმაკი ბრძნულათ დაჩუმა ყველა. და საწყენათაც დაურჩათ, რომ ასრე მაღელ დასრულა თავისი კითხვა. ლექციის საგანი ოჯახისა და შკოლის დისციპლინა იყო. ამ ლექციით მკითხველს სურდა ეჩვენებია დედამამებისთვის, რომ ეხლანდელი ბავშვების მოვლა არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჩვენ გვინ

არ დაანახოს კაცს თავისი დაჩაგრული მდგომარეობა. მაგრამ, აღრე თუ გვიან, ის, რაც საუკუნოებით მიღებულია ჰეშმირიტ და სამართლიან საქმეთ, უთუოდ გაიმარჯვებს. რა გინდ ბევრი და დიდი სათავეები არ გაუკეთოთ, შეგუბებული პროგრესის ერთ დღეს მთლად ერთიანად ჩაიტანს თქვენს დიდ ხანს ნაჭრანახულს და შთამომავლობისთვის გააწმინდება გზა. ისტორიაში ამისთანა მაგალითები საძებრათ როდია! მხლა ჩვენ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, მეორე მიზნზედ, რომელიც აბრკოლებს კაცს კეთილის შრომისთვის: ახალგაზდა ქაბუკი შედის ესთქეთ ისეთ საზოგადოებაში, როგორც ჩვენია. პირველად ის მიედმოედება, ესეც უნდა გააკეთოს, ექაც უნდა დაეხმაროს. მაგრამ, როდესაც ხელაგ საზოგადოების გულ-გრილობას მის საკუთარს საქმეში, დამბრკოლებას და ხათაბალას, მაშინ ის სასოწარკვეთილი ნელ-ნელა იწყებს სიარულს სულ უკან და უკან: მს უკუნქცევითი მგზავრობა სრულდება მართლ მაშინ, როდესაც საკუთარი თავის ინტერესის კიდელთან მოსულა ზეგრის დამამიდებელი

ნა იქმნეს ყმაწვილისთვის? თუ კი შენი სიტყვები ჰეშმირიტებაა, ყმაწვილი, რაც უნდა ჩლუნგი, ცეტი, დაუდგერი იყოს, მაინც გაგიგონებს და მსწრაფლად აასრულებს რასაც გონიერს ეტყვი; მაგრამ უზნაურს ყმაწვილს, თუ თქვენც უზნაური ხართ და მოსთხოვთ იმას, რაც არ შეუძლია, არ ესიამოვნება, არ ეკაშნიკება, რასაკვირველია ურჩობასა და ჯიუტობას შეაჩევეთ. მართი სიტყვით იმ ქალს იმისთანა აღზრდა სწამს, რომელიც ბავშვის და მასწავლებლის შეთანხმებაზედ და მათ შორის დარწმუნებაზედ არის დამყარებული. ის ამბობს, რომ შკოლაში სწავლება ძნელია, ვინემ ოჯახში, რადგანაც ერთ ყმაწვილს უფრო მოუფლის კიცი ვიდრე ასს და ორასსო მაგრამ იქაც შეიძლება აღზრდა ეხლანდელზედ უკეთ წაეყვანოთ. ამ ქალს ძრიელ უკვირს, რომ ბერმანიში, სადაც პედაგოგია ვერა წინ არის, სადაც ყველა პედაგოგები დათანხმდნენ, რომ ცემა-ტყევა სიბრყევეო, ბერმანიში ტყევა-ცემა ერთ საუკეთესო ღონის ძიებათ მიაჩნიათ სოფლის მასწავლებლებს. რასაკვირველია, ეს მართლ სოფლებში და მიყრუებულ ალაგებში არისო, მაგრამ მაინც დიდი ენება მოაქცეთო კაცობრიობისათვის. მკითხველმა თავისი ლექცია შემდეგი სიტყვებით დაბოლოვა: აღზრდა მაშინ წაეკარგათ, როცა ოჯახი და შკოლა ერთმანეთის დახმარებით ხელგაყრილი იშრომებენ ახალთაობის აღსაზრდელად... N. თფილისი, 27 თებერ. 1874 წ.



მოწინავე განათლებით, ხალხის სიბნელიდამ გამოვლინათვის შეიწროვას აღმოაჩინა.

რა თქმა უნდა, რომ ჩვენს აზნაურებასაც თანასწორად შეეხება ხელმწიფის ბრძანება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თავდაზნაურება გამოაჩინოს ამ შემთხვევაში საზოგადო საჭიროების ნამდვილს გაგებას.

ამისთვის აზნაურებას დასჭირდება საგანგებო კრება მოახდინოს. ამ კრებაზედ ის მოილაპარაკებს და ერთს რასმე გადაწყვეტილებაზედ დაადგება იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათის უნდა იქნეს სწავლება სახალხო სასწავლებლებში, და როგორს შემოვიწვივებთ მისცემს ის ქვეყნის განათლებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, აზნაურება ღირსეულს ყურადღებას მიჰქცევს ამ საგანს და იმდენს გონიერებას გამოიჩინოს ხალხის ნამდვილი საჭიროების დაკმაყოფილებაში, როგორც მის მოწინავე მდგომარეობას დაშველდება.

აზნაურებას, რასაკვირველია, არ დაეცივდებოდა, რომ ის იმ ხალხის შრომით გამოზრდილია, რომელიც დღეს მისგან შეწვევას საჭიროებს!..

მეველე.

წარული ამბები

ჩვენ შევტყვევებთ, რომ თფილისის ხელოვნების მსესხებელ-შემნახველი კასის წესდება ამ მოკლეს დროში დამტკიცებული იქნება ადგილობრივის მთავრობისაგან.

თფილისელებს უთუოდ იამებთ, რომ ჩვენს უთაურ ქართველებში ერთი კაცი იმისთანა მოინახა, რომ ქართული ტრუპის შედგენას სცდილობს და, რამდენადაც ვიცით, სექტემბრიდამ თავ-თავის რიგზედ ქართული წარმოდგენების გამართვას ჰქეპრობს.

იმ ჯილდოს მისაღებად, რომ ელიც სახელ მძღვანოებისათვის დანიშნულია, დროების რედაქციაში წარმოდგინეს ჯერ ჯერობით ორი თხზულება: 1) ერთი საყმაწვილო წიგნი, რომელიც შეიცავს სტატებს ყმაწვილების გონების მისაწლობის საგნებზედ და 2) ისტორია ძველის აღთქმისა. ამ წიგნების დამთავრების გარდაწყვეტილებას მალე შეიტყობენ „დროების“ მკითხველები.

შუ. ილ. ჭაქვაძეს და ივ. მ. ჩაბოს გაუთავებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „ქრებულს“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთს მშვენიერად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძინს.

ჩვენ მივიღეთ ახალი მიქტორ ჰაუგის რომანის შემოკლებული თარგმანი; მაგრამ რადგანაც დროებაში ძლიერ დიდს ალავს დაიჭირა „ქრებულში“ დასაბეჭდათ გადაეღვიეთ.

შუ. შირიკოვა გაათვა თავისი ლექციები სოჭის ქალბუნად. ეს იმისი ლექციები ჩვენ მხოლოდ ერთის მხრით მოგეწონა: როგორათაც ამას წინათ უფ. შირხანოვა ლექციების კითხვით დაამტკიცა, რომ კავკასიელის ევროპელების მსგავსი თავები აქეთა, ისე უფ. შირიკოვა ძალიან ცხადად დაგვანახა, რომ მაინცა და მაინც

გენიალური თავი არ სჭირებია კავკასიელს, რომ ზოგიერთ ევროპელებსავეთ ლექციის წაკითხვა შეეძლოს. ან კი რად არ უნდა წაკითხვა უფ. შირიკოვს თავისი ლექციები, როდესაც უფ. სტადლინისთანა თავიანთა კაცმა დამტკიცების რუსულის ერთ ბოკლის ფილოსოფიის დარღვევა იკადნიერა. რასაკვირველია, დამტკიცებული ენა არას დაუშლიდა უფ. სტადლინს, რომ სხვა საფანელი არ შემოაქვლებოდა! ეს საფანელის შემოკლება იყო უთუოდ იმისი მიზეზი, რომ თავის დედა ენაზედ ბოკლის ფილოსოფიის დარღვევა ვერ გაუბედავს და წასესხებს და უცოდინარობის გამო დამტკიცებულს ენაზედ განუზრახავს ეს სასაცილო რაინდობა.

„დროების“ კორექტორდენიცია

ზუგდიდი, 26 თებერვალს 1874 წ.

შმაღლესის სასულიერო მთავრობის განკარგულებით, სამეგრელოს ეპარხია ამას წინეთ გაუქმდა და სამეგრელო შევიდა იმერეთის ეპისკოპოსის გამგეობაში. ამაზედ მეგრელებმა და უფრო სამეგრელოს სამღვდლოებამ ბევრი ილაპარაკეს; მაგრამ მთავრობის განკარგულება სისრულეში მოვიდა. სისრულეში მოყვანა ამა განკარგულებისა იმაში მდგომარეობს, რომ გასრულის 1873 წლის სექტემბრის და ოკტომბრის თვეში იმერეთის ეპისკოპოსმა ზაბრიელია დაიარა მთელი სამეგრელოს ეკლესიები, გაშინჯა ამ ეკლესიების საბუთები და საეკლესიო ფულების მდგომარეობა დამასთან, რასაკვირველია, ერსაც აძლევდა მწყემსთ მთავრულს დარიგებას. ძარგათ ნახა მან რევიზიის დროს ეკლესიების საბუთების და ფულების მდგომარეობა, თუ არა, ეს მე არვიცი და არც ჩემი საქმეა ამისი გამოკვლევა; მაგრამ რომ იმას არ უნახავს რიგინათ, ამაში ჩვენ დავარწმუნებთ მსამა ცირკულიარში სამეგრელოს ბლაღოჩინებისადმი, რომელშიაც სხვათა შორის მოხსენებულია შემდგომი:

„მოაწა ჩემდამო ერთმა სამწყურბარო ამბავმა, რომელ დროსა მინგრელების ეკლესიების რევიზიის ჩემ მიერ, წასრულ სექტემბერს და ოკტომბერს, თქვენი განკარგულებით ყოველი სამეგრელო მღვდლები აძლევდნ ქრთამად ა—შ—ს და მ. ჭ—ს ზოგი თითო, ზოგი ორ-ორს მანეთს, რომელსა უწოდებენ სარევიზიოს. თუმცაღა წინეთაც ვიცოდო, რა დაცემული არის მეგრელების სამღვდლოებათა ზნეობა და ხასიათი, მაგრამ მეგრელების ბლაღოჩინები მაინც ცოტათი უმჯობესი მეგონა; ამ შემთხვევამ კი დაამტკიცა, რომ იგინი უარესი ყოფილან: თავიდან ფეხამდი ყოფილან დამპალნი და გარყენილნი. ჭ—ემართალია მეგრელები და მისგან არ გამოკვირდება ამისთანა სიყალბე, მაგრამ ა—შ—ი აქამომდე პატოხანი იყო; წასრულს წელს მთელი იმერეთი დაეიარე და ეკლესიების საბუთებს ეაშინჯენებდი და არსადს ჩუქრის ღება არ უფიქრია, გარნა მეგრელოა, სჩანს, პატოხან კაცსაც კი გარყენის და გააფუქებს.“

სამეგრელოს სამღვდლოება და ნამეტნავათ ბლაღოჩინები, რომელთა პიროვნება ამ ცირკულიარით განკიცხული, ღირსია თუ არა ამისთანა მადლობისა, ეს, რასაკვირველია, ისევე ეპისკოპოსის საქმეა, რადგან სამღვდლოება და მათი ბლაღოჩინებიც მის ხელ ქვეით პირებს შეადგენენ. ამაზე რომ რამე გვეთქვა, ჩვენი საქმე არ იქნებოდა; მაგრამ საქმე იმაში არის, რომ სამღვდლოებასთან და მათ ბლაღოჩინებთან მთელი სამეგრე-

ლო განუკიცხავს ეპისკოპოსს. ამასინ დიჯერებს, რომ ყველა მეგრელები ყალბი იყენენ და მასთან პატოხანი კაცის გამრყენელი და გამფუქებელი. მართალია, რაღაც უბედურებაა, მეგრელებს კარგი სახელი არა აქვს, მაგრამ ისე იცოცხლე, მკითხველო, მეგრელებში პატოხანი კაცები მეტი იყვენ, ვინემ ყალბი, გაფუქებული და გარყენილის ხასიათისა. შალბი და გარყენილები, როგორც მეგრელებში, აგრეთვე გურულელებში, იმერელებში და ქართლებშიაც მოიძებნებიან. მარტო მ. ჭ—ე და სამეგრელოს ბლაღოჩინები რომ შეადგენენ სამეგრელოს. უკაცრავათ! სამეგრელოში ჭ—ედ კარგი უფრო ბევრია, ვინემ ცუდი. თუ ჭ—დე მაგისთანა კაცი იყო, როგორც შისკოპოსს უცნია, მთელს მეგრელებს რას გვემართლებოდა. მინც ფიქრობს, რომ მეგრელები ევლური ხალხიაო, ის ძალიან შემცდა რია. მეგრელებში ნასწავლი კაცი ცოტაა, მაგრამ ამისთანა განკიცხვას ყველა გაიგებს მის უნახავს ამ გვარს ქალაღში მაგისთანა გასაკიცხავი სიტყვები. ბლაღოჩინებზე რაც უნდა ვთქვათ სამსახურისაგან, მაგრამ მთელს სამეგრელოს რას ერჩოდა ვინმე. ჩვენ, როგორც ბლაღოჩინებს, აგრეთვე უბრალო მღვდლებსაც პატივს ვსცემთ, დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ მათს დანიშნულებას, ვისმენთ მათგან ქრისტიანობრივს დარიგებას და მოძღვრებას. შემდეგ ამისა ჩვენგან რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს მათ, თუ ისინი იმგვარნი არიან, რასაც მათი შისკოპოსი აწერს. თუ ნაჩაღნიკმა დიდი მნიშვნელობა და პატივი არ მისცა მის ხელ ქვეით მოსამსახურეს, დარწმუნებული იყავი, მკითხველო, რომ ხალხი სულ არაფრათ არ ჩაგედებს შავისთანა პირებს და ყოველს დარწმუნებას დაკარგავს მათზე.

შველავე უფრო ის მაკვირებს, რა ნაირათ შეუძლია კაცს პატოხანი კაცი გარყენას და გააფუქოს! თუ ა—შ—ი აქამდი პატოხანი იყო, იმისი გაფუქება და გარყენა როგორ შეეძლო მეგრელებს. დამერწმუნე, მკითხველო, რომ თუ კაცში არის პატოხანება დაცული და მტკიცე ხასიათი აქვს, იმას ვერავინ ვერ გარყენის; მაგრამ როცა ის ჩვენდა სამწყურბაროდ ნაჩვევია რაიმე ცუდსა, რასაკვირველია, იმას შემთხვევა გაახსენებს წინანდელს მის ჩვეულებას. რომელს ქვეყანაში არ არი ყალბი და გარყენილის ხასიათის კაცები, მაგრამ რომ ვთქვათ, ყველა ამისთანა უნდა იყვენ იმ მხარეშიო, —ამაში ძლიერ შევცდებით.

იოსებ ლალუა.

მოსკოვი, 14 თებერვალს 1874 წ.

მოსწავლე ახალგაზრობა ამ უკანასკნელ დროს ძრიელ დაცემული შეიქნა. შმაღლესის სასწავლებლიდგან გამოსულ ახალგაზრობას ნაკლებად აქვს ის განმაცხოველებელი ძალა, რომელიც ახალგაზრობას უნდა შექმნდეს საზოგადოებაში. ახალგაზრობა სულითა და ხორცით დაუსტებელი და გაფუქებული შეიქნა. ამნაირი გარემოების შედეგი ცხადი და საგრძობელია ყველასთვის. ეს შედეგი სჩანს ლიტერატურაში, ეს შედეგი სჩანს უნივერსიტეტში სწავლის მსგელოებაზედაც: ლიტერატურა მოკლებულია ძლიერსა და განმაცხოველებელ სიტყვას; უნივერსიტეტები გრძობენ ნაკლებღვეანებას პროფესორებში, როგორც მათი რიცხვით, ისე სიკარგითაც. ეს ნაკლებღვენება განსაკუთრებით იმ განყოფილებებშია, რომლებშიაც სასწავლი საგნები მტკი-

ცელ არიან შეკავშირებული სახეობისა ფოს გაწყობილებასთან, სახელწოდებას წესსა და რიგთან. აი შავალითად მოსკოვის უნივერსიტეტი და მისი იურიდიული ფაკულტეტი. ამ უკანასკნელში საშინელი ცოტაა პროფესორები და ისინიც მოხუცებულიები და ძალა გამოლეულნი. ამათ, სხვა არ იყოს რა, არც წლოვანობისგამო შეუძლიათ ცოცხალი სიტყვა სთქვან და ამნაირი მოიტანონ ნაყოფი მეცნიერებაში და ცხოვრებაში.

რამ მოახდინა ეს ახალგაზრობის დამცრობა? ეს მოხდა ორი მიზეზის გამო. ერთი რომ სტუდენტობაში მოსპობილია ერთობა. აქაური სტუდენტების ცხოვრება გააკვირვებს კაცს ინდივიდუალური ხასიათით. მეორე ისა, რომ უმეტესობა მოსწავლე ახალგაზრობისა არის მატერიალური მხრით შეუძლებელი, მას არა აქვს საშუალება, ისე მოაწყოს მატერიალური მხარე თავის ცხოვრებისა, რომ მანე ზრუნვა აღარ სჭიროდეს და თავის ძალა, თავის გონებაშიაქციოს მხოლოდ თავის მეცნიერების შესწავლას. ამ მიზეზს იმოდენი ძალა არ ექნებოდა, რომ პირველი მიზეზი არ ყოფილიყო; რომ სტუდენტობაში ერთობის სული და გული ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია, მათი მატერიალური მდგომარეობა ცოტათი მაინც უკეთესი იქნებოდა, როგორც ერთობის შედეგი, როგორც შედეგი ერთი შეკრებილი ძალისა.

ამნაირმა ახალგაზრობის მდგომარეობამ მიიქცია ყურადღება საზოგადოების გონიერი ნაწილისა. ამ უკანასკნელმა დაიწყო ცდა, რომ გამოენახა საშუალება. ამ ნაირად შესდგა ხარკოვეში საზოგადოება სტუდენტების მატერიალურად დამხმარებელი. ამისთანა საზოგადოება შესდგა პეერბურღშიაც წასრულ წელში. მოსკოვშიაც მალე იქნება ამ ნაირი სტუდენტების დამხმარებელი საზოგადოება. ბარდა ამისა მისცეს წასრულ წელში აქაურმა სტუდენტებმა ბალი, რომლიდგან შემოსული ფულები დარიგებისთვის უნდა მოეხმარათ. აქაურმა საზოგადოებამ თანაგრძნობით მიიღო ეს, და კი ძალი სუმმა შემოვიდა. რამოდენიმე ამისაგან მაშინვე დაურიგეს ღარიბებს; დანარჩენისაგან კი სტუდენტებმა დააარსეს ერთი სტიპენდია, წოდებული „სტუდენტების სტიპენდიათ“ (студенческая стипендия). ამ წელიწადში, 17 იანვარს, კიდევ იყო სტუდენტების ბალი, რომლისაგანაც შემოვიდა, გარდა ხარჯისა, სამი ათას მანეთამდის (2996 მ.) აი დღეს იყო უნივერსიტეტში სტუდენტების მოლაპარაკება, თუ როგორ მოახმარონ ეს ფულები ღარიბებს. ეს ფულები უნდა დაურიგდეს ღარიბებს, რომელნიც მხოლოდ ზნეობითად იქნებიან ვალდებული უკან დააბრუნონ ფულები, როდესაც შეეძლებათ.

ეს ამბავი მისთვის კი არ მომხსენებია „დროების“ მკითხველებისთვის და საზოგადოდ ჩვენი ქართველი საზოგადოებისათვის, რომ დეაკმაყოფილო მხოლოდ მათი უბრალო ცნობის-მოყვარება და არც იმისთვის, რომ ზოგიერთებმა უსაქმო გაშტერებისა და მთქნარების მაგიერ აიღონ „დროება“ ხელში და თვლი გადაევიდნ ამ სტრიქონებს; არა, ჩვენ ეს მაგალითი უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ცხოვრებისთვის. როგორ? ჩვენ, ქართველები, წმინდანები კი არა ვართ, ჩვენ შეუხებელი კი არა ვართ გარემოებებისგან. ჩვენ კაცები ვართ, ჩვენც ჩვენი საზოგადოება გვაქვს, ჩვენც უნდა ეფიქრობდეთ მომავალზედ, ჩვენთვისაც სა



ქირა ახალგაზღვრებზე ზრუნვა. ამ მხრით რომ შეხედოთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი ახალგაზღვრების აღზრდას, ხეირიანსა და სასურველს თითქმის სრულიად ვერას ვიპოვით. რა გვიქნია ჩვენ ახალგაზღვრებისათვის? რით ვეწვეით ჩვენ მას? მართი რა გვაქვს ჩვენ იმისთანა, რომელიც გვიჩვენებდეს, რომ ჩვენ ვზრუნავთ ახალგაზღვრების მატერიალურ მდგომარეობაზე და აქედან, რასაკვირველია, განებაზედაც მართალი უნდა ვსთქვათ, რომ არაფერია. მაგრამ ესეც არის, რომ მხოლოდ ბრალს ვერ დავადებთ მართა საზოგადოებას. ღარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ საზოგადოებაში მოიძებნებიან იმისთანა კაცები, რომელნიც, თუ კი მოქმედი და გზის მაჩვენებელი ყოფილა მათ, თავის ქვეყნის შეილება, თავის ძმებს ძმურად ხელს გაუშვერენ და დაეხმარებიან. მხოლოდ მრჩეველი, ჩამოგნებელი კაცი არ არის. ამ მხრით დიდი პასუხისგება აწევს კისრზე იმ ყმაწვილებს, რომელთაც ნასწავლებს და განათლებულს ეძახიან ჩვენში. ადიდებენ ჩვენი მოსწავლე ყმაწვილები, ერთი ნაწილი მათი—საშულო სასწავლებლების, განსაკუთრებით მუთათისის გუბერნიის, და ნახეთ როგორია მათი მდგომარეობა. შიატაკო, უჭერო ოთახი, რომლის ჭერიტიმლებში ხარ-კამბეჩი გახტება და ქარი გაქრის-გამოქრის, თითქო იქ სახლის მზგავიც არა იყოს. ამ ნაირ ოთახში თითონ ამ ყმაწვილებმა თავისთვის საჭედი უნდა დაიხადონ, რისთვის შეშაც თითონ უნდა იმოგონო გაჭირვებით. მსლა მათი ღარიბი ტანისამოსი ამისთანა. ამისთანა საწყლებმა ყმაწვილებმა უნდა დაამზადონ გაკეთილი ჯერ კიდევ დაუსწავლელ ენაზე. ამის შემდეგ ვინ იტყვის, რომ ქართველი ყმაწვილი კარგათ ვერ სწავლობს, ქართველი ყმაწვილი უნიჭოა. ღმერთმანი ისიც გასაკვირველი არის ან იმდენს როგორ სწავლობს ამისთანა გაჭირვებაში...

ამნაირსავე უნუგვმო მდგომარეობაში არიან ისინი, ვისთვისაც კი ღმერთს მიუტია გმირული ძალა, გაუღლიათ ეს გაჭირვება, შეუსრულებიათ დაბალ სასწავლებლებში სწავლა და უმაღლესი სწავლის მიღება მოუწოდებიათ. ისინი მიდიან იქ იმ აზრით, რომ უფრო იფიქროს გამოვიდნენ ვითომ. შედიან იმ სასწავლებლებში, რომლებშიაც შესვლა და სწავლა არ სურთ, რომ რა არი, იქ მუქთი პური ექნესთ. ამნაირი გარემოება რა ხეირს დავაყრის! ჰავა იმ ქვეყნის, საცა ეხლა ჩვენ ახალგაზღვრების უმეტესი ნაწილი სწავლობს, კიდევ მთლად ერთიანად ბოლოს უღებს მათ. ჩვენში ჰავას მიჩვეული ყმაწვილი აქ დასწულ და ნოტიო ოთახში როგორ უნდა ცხოვრობდეს, და იმ ღარიბი საშუალებით, რომელიც მათ აქვსთ, როგორ უნდა რჩებოდნენ! მსლა, ვითხებ კიდევ, რა გვიქნია ჩვენ ამნაირი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ? ღაკიდევ ვიტყვი: თითქმის სრულიად არაფერი.

მართლაც დაბალი სასწავლებლების შაგირდები სრულიად უყურადღებოთ არიან ღარიბნი, და იტანენ ყოველგვარ გაჭირვებას და დამცირებას, მე კარგათ მახსოვს, მე რომ სასწავლებელში ვიყავი, იქ ოთხ ხუთ ღარიბ ყმაწვილს სასწავლებლის უფროსებისაგან მოცემული გეგონდა ოთახი, გვიჩვენებდნენ იქ, მაგრამ ვაი იმისთანა შენახვას, ნიადგ მას წამოგვაცყვიდნენ და ჩავკრავდნენ ცხვირში, რომ მე გარჩენთ ჩემი ღვიბიდან. რასაკვირველია ამ ჩვენ ყო-

ვლად მოუწყობელ სადგურს დიდი სიცოცხლე არ ჰქონია, მალე მოსპობილ იქნა. რაც შეეხება დაბალ სასწავლებლებში კურსს შესრულებულებს, რომელნიც უმაღლეს სწავლას ღებულობენ, წელიწადში ორი ან სამი გაჯახირებული სპექტაკლი იქნება ქართულ ენაზე და იქიდან შემოსულ ფულებით შემწეობა ეძლევათ. მაგრამ აქაც უხეიროდ მიდის საქმე; ვინც რომ შემწეობა მიიღო ამ ნაირად, მათთვის არ დებენ ვალდებულებათ, რომ ის ფულები დაუბრუნონ უკან მათ, ვინც იმათ დახმარებას კისრულობს, მათზე მხოლოდ ზნეობითი ვალდებულება დაუდევთ. მაგრამ კარგათ გავიგეთ, მგონია, ბევრს როგორ ესმის ეს ვალდებულება. ჩამოვლიან საქართველოში და მის მაგიერ, რომ საზოგადო საქმეებში მხურვალეთ მონაწილეობა მიიღონ, წაღებული ფული დაუბრუნონ, რომ ამით კიდევ სხვას საშუალება მიეცეს, იგლიჯებინან და იცარცებინან; განა ცოტაა ჩვენში იმისთანაები, რომელთაც თავის ცხოვრების და მოქმედების ღვივით დაუდევს: «если и нѣтъ поводов кассации, все таки напишите кассационную жалобу и подайте, деньги получим». ამისათვის, ბატონებო, ძრიელ სიჭიროა ჩვენშიაც შესდგეს მოსწავლეთ დახმარებელი საზოგადოება, რომელიც, თუ კი რასმეს შესწირავს ამისთანა კეთილ საქმეს ჩვენი ქართველი საზოგადოება, მიიღებდეს ამ შეწირულებას და მის მოხმარებას საქმეში წესიერსა და კანონიერს მსგელობას მისცემდეს, ვალდებულად გახდიდეს ვინც შემწეობა მიიღო, რომ იმან წაღებული ფული უკან დააბრუნოს, რომ იმავ ფულებით სხვას შემწეობა მიეცეს. მაშინ, იმედია, უბრალოთ არ ჩაივლის საზოგადოების დახმარება, მისი შემოწირული ფული.

ა. ჰ—ძ.

რუსეთი

— რუსული ვაზეთი «მა» (№ 53) სჩივის, რომ ჩვენ ყველაფერში უკან ჩამორჩენილი ვართ, ყოველგან და ყველაფერში ჩვენ სასარგებლო კაცები გვაკლია. მანსაკუთრებითი სიღარიბე სახალხო განათლებასა და ექიმობაში გვატყვიავს. ამ ორს ხალხის კეთილდღეობისათვის უსაჭიროეს საქმეში ჩვენ თითქმის ყველა დასავლეთის მერობის სახელმწიფოებზე უკან ვდგავართ. ჩვენ ჯერ-ჯერობით იმდენად არ გვჭირია უმაღლესი სასწავლებლები, რომელნიც მიტინიერებს ამჟამდებენ. ჯერ ჩვენ ცხოვრებაში გამოადგილი სწავლის შემძენი შკოლები გვინდა. ჩვენ გვინდაო ხელოვნები, მეურნეობის მკოდნე მუშა კაცები, ექიმები და სხვ.

თუ რამდენათ მოკლებულიაო ჩვენი ხალხი ექიმობას ამას შემდეგის ცნობებიდან შეიტყობთო.

იტალიაში ერთი ექიმა ორი ათას სამას კაცზედ, ინგლისში—ორი ათას ხუთასზედ, საფრანგეთში—ორი ათას ექვსასზედ, პრუსიაში—სამი ათას ხუთასზედ და რუსეთში კი—შვიდმეტე ათას ხუთასზედ. (პერმის გუბერნიის ერთ უეზლში ერთი ექიმა სამოცი ათას კაცზედ)

ინგლისში ერთი ფერშალია სამი ათას ორას კაცზედ, იტალიაში—ოთხი ათასზედ, საფრანგეთში—ოთხი ათას ასზედ, პრუსიაში—შვიდი ათას ოთხასზედ და რუსეთში თორმეტე ათას ხუთასზედ.

მართი ღაზარეთია პრუსიაში ოცდა ორი ათას კაცზედ, ინგლისში—ოცდა ათი ათასზედ, იტალიაში—ოცდა ოთხმეტე ათასზედ, საფრანგეთში—ოცდა ოთქმეტე ათასზედ და რუსეთში—ას სამოცდა ოთხმეტე ათასზედ.

მაგრამ ღაზარეთების რიცხვთან იმათი სიდიდეც უნდა მივიღოთ მხედველობაში, ამბობს ვაზეთი. ამ შემთხვევაშიაც ჩვენი ღაზარეთები ვერ შეედრებიანო სხვა ქვეყ-

ნების ღაზარეთებს. მ.გალითად, იტალიაში ღაზარეთებთ დიდ მენიერი შენობებია, იმათში ძლიერ მრავალი საავთმყოფო კრავებია. მაშინ როდესაც ჩვენი ღაზარეთები ერთს პეტერბურგელ ღაზარეთს გარდა, ძლიერ პატარა და ღარიბად მოწყობილი არიანო.

სამხედრო ღოშპიტლები უფრო ბევრი გვაქვს, მაგრამ ამაშიაც უკანასკნელი ადგილი გვიჭირავსო:

მართი სამხედრო ღოშპიტალია პრუსიაში ათას ორას ორმოცდა ათ სალდათზედ, ბელგიაში—ორი ათას სამასზედ, საფრანგეთში—ორი ათას ხუთასზედ, პეტრიაში—ორი ათას ექვსასზედ, და რუსეთში—ხუთი ათას სალდათზედ.

ვაზეთი «მა» უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების წინააღმდეგი არ არის, ის მხოლოდ ამას ამბობს, რომ თუ უმაღლესი სასწავლებლები საქიროდ დაგვიჩვენებს, დაბალ სასწავლებლებზედ კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთო.

ღავაწესოთ ყველა უნივერსიტეტში მედიკური ფაკულტეტები, გავსწავლოთ ახლი უნივერსიტეტები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები, სადაც კი საქიროა; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენთვის ამათზედ მეტად თუ არა ნაკლებათ არ გამოგადგებიანო სახალხო, სახელონო და საექიმო შკოლები.

საქმელთაო სამხედრო სამსახურის ვისდება.

მუდამის შეიარაღებული ჯარის შესავსებლად მთელს იმპერიაში ყოველ წლივ უნდა მოხდეს გამოწვევა ყმაწვილი კაცებისა, რომელთაც ოცი წელი შეუსრულდათ იმ წლის პირველს იანვარს, როდესაც გამოწვევა არის. ხმელეთისა და ზღვის ჯარის შესავსებად საქირო კაცების რიცხვი დაინიშნება ყოველ წლივ ცალკე. თითონ გამოწვევა წილის ყრით უნდა მოხდეს. ოცის წლის ყმაწვილი კაცები, რომელთაც წილად იმ რიცხვზედ ნაკლები ნომერი ხედებათ, რაც იმის მაზრაში იმ წელს გამოსაწვევად დაინიშნულია, უნდა შევიდნენ ნამდვილს სამსახურში; და ისინი, ვისაც იმ ადგილიდან გამოსაწვევი ყმაწვილი კაცების რიცხვზედ მომეტებული ნომერი ხედება, განთავისუფლებიან ნამდვილი სამსახურისაგან და ჩაირიცხებიან ღაშპარში, რომელშიაც ითელეებიან საზოგადოდ მთელს იმპერიაში მოსახლე მამაკაცები ორმოც წლოვანობამდის. მსენი გამოიწვევიან სამსახურში მხოლოდ მაშინ, როცა ომიანობის დროს ძლიერ დიდი საქიროებაა.

წილის ყრა მოხდება გამოსაწვევი ნაწილებში, რომელთაც შეადგენენ მაზრის ნაწილები, ან მთელი მაზრები. შეველა მამაკაცები, იმ დროდგან დაწყებული, როცა მათ თექვსმეტი წელი შეუსრულდებათ, იმ წლის ოცდა ოთქმეტე ღეკემბრამდის, როცა ისინი ოცის წლის შექმნიებიან, ვალდებული არიან მიეწირონ გამოსაწვევი ნაწილს და მიიღონ ამის დამარწმუნებელი მოწმობა. პრუსეტტეები ვალდებული არიან ყოველ წლის დამდეგს შეადგინონ გამოსაწვევი სიები, რომელშიაც უნდა ჩასწირონ ყველანი, ვინც წინა წლის განმავლობაში ოცი წლის შექმნა. სიების შედგენა უნდა გათავდეს პირველს აბრილამდის და ამას შემდეგ ვინც სიებში ჩაწერილია მიიხმობიან გამოსაწვევი ნაწილში წილის საყრელად.

გამოსაწვევი წილის ამოღება უნდა მოხდეს ცალკე წილის ყრით განწყებულ რიგზედ. თითოეულმა მიხმობილმა თავისი წილი უნდა ამოიღოს. თუ ისინი რიგე მიზეზის გამო ვერ მივიდნენ, თავის მაგიერ ვინმე ნათესავი უნდა გავაზნონ. თუ წილის ყრის დროს მიხმობილის ნათესავიც არ არის, მაშინ მიხმობილის წილი ან პრისუტტეის პრედესდატელმა უნდა ამოიღოს, ან მამასახ-

ლისმა, ან ქალაქის გამგეობის წევრმა. ამოღებული ნომერი და ვისცა მისი სიები და გვარი უნდა წილებში ჩაეწიოს. მსამსახურე ტუის რომელიმე წევრმა. მს ნომერი და სახელი და გვარი დაწესებულ წიგნებში უნდა ჩაიწიროს. შემდეგ ნომერიანი ბილეთი პატრონს უნდა ჩაბარდეს, რომელსაც სამუდამოდ შენახული უნდა ჰქონდეს.

წილის ყრის შემდეგ პრისუტტეიმ უნდა შეამოწმოს წილხედომილი პირები და ვინც სამხედრო სამსახურში გამოსადევი იქნება, მიიღონ სამსახურში. მსენი წიგნში ჩაიწივებიან და ამას აქეთ ისინი ნამდვილ სამსახურში ითვლებიან. ღანარჩენი კი ჩაირიცხებიან ღაშპარში გამოსაწვევის სიაში. სამსახურში მიღებულები შეიძლება დროებით შინ გაუშვან, იმ პირობით, რომ დაინიშნულს დროზედ დაინიშნულ ალაგს გამოცხადდენ.

ვინც ხმელეთის ჯარში არის ის ექვსი წელი სამსახურში უნდა დარჩეს და მერმე რეზერვში უნდა გადავიდეს, რომელშიაც უნდა იყოს ცხრა წლის ვადით.

მაგრამ ეს სამსახურის ვადები მხოლოდ მშვიდობიანობის დროსთვის არის დაინიშნული. ომიანობის დროსკი ყოველი მოსამსახურე იმდენს ხანს უნდა დარჩეს სამსახურში, რამდენსაც სახელმწიფოს საქიროება მოითხოვს.

რეზერვში ყოფნის დროს ყოველი მოსამსახურე მიიწვევა სასწავლებელს ყრილოვაში, მაგრამ ორჯერს მეტად არა მთელის რეზერვში ყოფნის დროს განმავლობაში, და თითოჯერ ექვს კვირზედ არამეტის ვადით. რეზერვში მყოფნი მიიწვევიან ნამდვილ სამსახურში მხოლოდ მაშინ, როცა საქიროა მრთელი მხედრობის შეკრება. რეზერვში მყოფთ შეუძლიანთ სამოქალაქო და საზოგადოებრივ სამსახურში შევიდნენ და აირჩიონ ყოველ გვარი საქმიანობა.

ვინც რეზერვში და ამისთანავე სამოქალაქო სამსახურში მყოფი ჯარში სასამსახუროდ გამოიწვევა, იმათ თავისი ადგილი არ ეკარგებათ და ჯარიდან დათხოვნის შემდეგ ის ადგილი ხელახლა მიეცემათ. ამ გვარის გამოწვევისაგან განთავისუფლებული არიან მხოლოდ ის რეზერვში და თან სამოქალაქო და საზოგადოებრივ სამსახურში მყოფნი, რომელნიც განსაკუთრებით სიებში ჩაიწივებიან.

რეზერვში სამსახურის გათავების შემდეგ მოსამსახურენი ჩაირიცხებიან ღაშპარში, რომელსაც ვკუთვნის ყოველივე მამაკაცი ორმოც წლოვანობამდის. ღაშპარის შემადგენელი პირები იწოდებიან მოლაშქრეებად და ორ რიგად განიყოფებიან. პირველს რიგში, რომელიც დაინიშნულია როგორც სალაშქროდ, ისე მუდამი ჯარების შესავსებლად, ირიცხებიან ისინი, ვინც ღაშპარში უკანასკნელი ოთხის წლის გამოწვევის დროს ჩაირიცხენ. მეორე რიგში ითვლებიან ისინი, ვინც ღაშპარში უფრო დიდის ხნის ჩაირიცხულია.

წილის ყრით სამხედრო სამსახურში შესვლას გარდა, ახალი სამხედრო წესდება არ ეწინააღმდეგება თავის ნებით სამსახურში შესვლას, როგორც აქამდისაც იყო. თვის ნებით სამხედრო სამსახურში შემსვლელისათვის დაინიშნულია თერთმეტის წლის სამსახური (ორის წლის ნამდვილი სამსახური და ცხრა წლის რეზერვში ყოფნა). ნებით შესრულთ ტანისამოსზე ნიშანი აქეთ გამოწვევით სამსახურში შესრულთაგან გასაჩივრდ. მაგრამ თავის ნებით სამსახურში შესვლა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ, ვინც სემინარიის მეორე კლასის კურსის ოდენი სწავლა მაინც მიიღო

და ან ვინც ეკზამენს დაიჭერს დაწესებული პროგრამის თანახმად.

(გაგრძელება იქნება.)

უსსო ქვეყნები

საზრანგეთი.

საფრანგეთის ნაციონალური კრებაში ხალხმა აღიარა დეპუტატთა ლიდერ როლენი. მს. კაცო ძლიერ შესანიშნავი პოლიტიკური პირია და ძალიან ეჭვია, რომ იმან ბატონი მამბეტა არ დაჩრდილოს კრებაში.

შამბორს ბედი არ აძლევს მოსვენებას. მუშინასწინ პარიზის სამსჯავრომ უარი უყუ საფრანგეთის ტანტის მემკვიდრეობაზედ ერთ ზოლთან დიდი აფიცრს ნაუენდორფს და ეხლა კიდევ ვიღაც ინგლისელი გამოჩენილი, რომელიც ამტკიცებს, შე ვარ ნამდვილი მემკვიდრე საფრანგეთის მფუხარა და არა შამბორი. ამდენ მონაწილეს რა აუფა?

მსპანია.

მსპანიაში რესპუბლიკის საქმე ცუდად მიდის, ნამეტურ მას აქეთ, რაც სერანოს მმართველობა დაარსდა. ამ დღეებში კარლისტებს ცხვირ-პირი დაუშტრევიათ მარიონეტისათვის, 3000 მკედარი და დაჭრილი დაუტოვეთ მარიონეტის ბრძოლის ველზედ. ამბობენ ღონ-ძარღვის ბილბაოს ქალაქში აპირებს ტანტზედ ასვლას.

მართი პატარა შენიშვნა: შესაძლებელია იმ მოქმედებით, რომელიც ბატონი პრინცი აღენს ესხა მსპანიაში, ე. ი. სოფლების და ქალაქების აოხრებით, მცხოვრებლების ამოკლევით, სხვა ტანტზედაც მოუხდეს იმას ასეცა.

პარიზი, 24 თებერვალს 1874 წ.

თუმცა პირდაპირი ჩემი მოვალეობა ისაა, რომ პარიზისა და საფრანგეთის ამბები შეგატყობინოთ. მაგრამ ნუ გამიწყობთ, თუ ხანდახან, როდესაც სხვა რომელიმე ქვეყანაში რაიმე შესანიშნავი ანბავი მოხდება, ამ ვალდებულებას გადავსცემ, და ამ სხვა ქვეყნებზე დავიწყო ლაპარაკი. რასაკვირველია, საფრანგეთისა და პარიზის ცხოვრება ყოველთვის საკმაო და საინტერესო მასალას წარმოადგენს არათუ ჩემთვის, კვირის კორრესპონდენტისთვის, არამედ იმისთვისაც, ვინც ყოველ დღე იწერება კორრესპონდენტს; მაგრამ ხანდახან, როგორც ზევით ვთქვი, სხვა ქვეყნებში ისეთი რამეები ხდება, რომ ძალა-უნებურად მიიზიდავს კაცის ყურადღე-

ბას. და მე ვერ შევიმაგრებ თავს, რომ იმაზედაც ერთი-ორი სიტყვა მაინც არ გითხრაოთ.

×

ამგვარ ყურადღების ღირს ამბად მიმანია ესხა ალზას-ლორანის წარმომადგენლების მოქმედება ბერნისის პარლამენტში.

უკრაინად ნუ ვიქნები, თუ ამ საგანზე მოლაპარაკება ცოტა შორიდან დავიწყო:

როდესაც იონის კუნძულებმა გამოაცხადეს, რომ იმათ არა ჰსურთ ინგლისის ქვეშევრდობა, ინგლისის მმართველობაზე თანდათან იმათ; 1874 წელს ღანიის დამარცხების შემდეგ, პრუსიამ მართალია შოლენი და ბოლშეჩინია ჩამოართვა ამ პატარა სახელმწიფოს, მაგრამ შორიდან პარლამენტში მოხსენებულ იყო: „პრუსია შოლენისა და ბოლშეჩინის მხოლოდ მაშინ შეიერთებს თავის სახელმწიფოსთან, თუ თვითონ ამ ორი პროვინციის მცხოვრებლები განაცხადებენ ამის თანახმობას;“ ნაპოლეონ მესამემ, სოლფერინოს შემდეგ, საეოისა და ნიცის მცხოვრებლებს ჰქონდა: გსურთ საფრანგეთთან შეერთება, თუ არაო, და როდესაც ხალხმა თანახმობა განუცხადა, მხოლოდ მაშინ შეუერთდა.

×

მს ფაქტები ალზას-ლორანის წარმომადგენლების ბერნისში ყოფნამ და იმათმა მოქმედებამ მომაგონა. ბერნისისგან დაპყრობილი ალზას-ლორანმა შეიღი ისეთი წარმომადგენელი გაგზავნა ბერნისის რეისხტაგში (პარლამენტში), რომელიც უნდა გამოეცხადებინათ ხალხის უკმაყოფილება, რომ იმისდა დაუეთხავდ შეერთა იმათი ქვეყანა ბერნისთან. მართლაც, შევიდნენ თუ არა პარლამენტში, პირველი იმათი მოქმედება შემდეგი წინადადების შეტანა იყო:

მიიღებს რა პარლამენტი მხედველობაში იმ განკარგებას, რომ ალზასი და ლორანი ხალხის დაუეთხავთ იყო შეერთებული ბერნისთან 1871 წლის პირობით, სხვაგვარ მმართველობას, რომ ალზას-ლორანის ხალხს ეკითხოს ახრი ამ შეერთების თაობაზე.

წინადადების წარმდგენელმა, ტინჩმა, ასე განმარტა თავის აზრი:

ხალხის დაუეთხავად ჩვენი ქვეყნის დაპყრობით ბერნისთან გასრისა ფხვ ქვეშ ის უფლება, რომელიც ყველა განათლებული ხალხებისაგან ცნობილია.

ჩვენ აქ იმისთვისა ვართ გამოგზავნილი, რომ საფრანგეთის ხალხისაგან სიყვარული განგაცხადოთ. იმ ძალდატანების შემდეგ, რომელიც თქვენ მოგვაყენებ, არ შეგვიძლია, რომ ძმებთან ვიცნოთ.

ბერნისა შეცდმა, რომ ალზას-ლორანი შეიერთა. რა სიკეთეს მოვლის შემდეგში ბერნისა ამგვარი მოქმედებისაგან? ამის შედეგად უნდა გარდავიდეთ მსხვერპლი და გაუთავებელი ბრძოლა და იმათთან იქნება! მაგვიწმინდა, თავი დაგვანებეთ, ჩვენეუ გადაწყვეტით ჩვენი ბედი და მომავალი. მიიღეთ ჩვენი წინადადება.

ბერნისის, რეისხტაგმა მომეტებულის

ხმით გადაწყვიტა, რომ ალზას-ლორანის დეპუტატებს იმათს წინადადებაზე უარი ეთქვას. შევლა პოლშელმა დეპუტატმა და სოციალურ-დემოკრატებმა კი იმათი სასარგებლო ხმა მისცეს. მაგრამ საუბედუროთ თვითონ იმათში გამოჩნდა ერთი დეპუტატი (სტრასბურლის ვისკოპოსი), რომელმაც განაცხადა, რომ ხალხი კმაყოფილია ბერნისთან შეერთებისაო. ამისგანამ ამ დეპუტატის ამჩნევები, როგორც ამბობენ, ძალიან გაჯავრებულნი არიან თურმე და აცხადებენ, რომ ჩვენ არაოდეს არ გამოგვითქვამს ამისთანა აზროა, დეპუტატმა გვილაღატაო.

ს. მესხი.

ნაკრები

ამ ცოტა ხანში ორი გამოჩენილი კაცი გადიცვალა. ლიევისტონი და პეტლე.

ლიევისტონი შესანიშნავი და თავ უზოგველი მოგზაური იყო აზრითაში აგერ ოცი წელიწადია. იმან ბევრი შესძინა სწავლასა და მეცნიერებას თავის გამოჩენებით სრულად უცნობელს ევროპელებისთვის შუაგულ აზრითაში.

პეტლე ღირსეულად იწოდება სტატისტიკის მამათ. პეტლემ ბევრი იშრომა ამ საგნისთვის და ამით გააადვილა მოვლინების ახსნა ცხოვრებაში ნამდვილის მიზნების ჩვენებით.

მათემატიკის გეტყობინებენ, რომ ესხა საფრანგეთში ოცდა სამი ათას ხუთასი წიგნის მაგაზინი ყოფილა.

მრთს მეროპიელი ტომის ქალს (ამერიკაში) ევგენი შეუთრავს. ამ ცოლ-ქმარს საკვირველი ტყუბი ქალ-ვაჟი დაბადებით: ვაჟი მამასავით შეივა თურმე და ქალი დედასავით თეთრა.

მრთს ცარიცინში მცხოვრებს მღადარს ვაჭარს გაუგზავნია როსტოევი (დონზედ) თავისი პრიკაშიკი ნასყიდობის შესასრულებლად. პრიკაშიკს ვაჭრისაგან ნასყიდი უძრავი სუკუთრება თავის სახელზე დაუმტკიცებია. მაჭარა საშინელი მხეცური ხსიათის ყოფილა, და ამ ღალატს ისე გაუბრაზებია, რომ თავისი პრიკაშიკი ძალიან დაუხელია და ამას გარდა ყველა თითები და ერთი ყური დაუკენებია იმისთვის. ამ გვარად დაძახიჯებული უბედური პრიკაშიკი მალე მომკვდარა. მაჭარა დაქერილია თურმე ამ საქმისთვის.

სანამ ბარიბალი ძაპრერას კუნძულზედ დადგებოდა, მანამდის იქ არავინ არ ყოფი-

ლა. მაგრამ შემდეგ კი აუარებელი მოგზაურები მიდიან დიდებულ პატრიარქსთან ხაყად. სამი წლის განმავლობაში განაგრძობდნენ ას ოცდა ათი ცეცხლის გემო მიხულა. მთხ ნეპოლეონ ცეცხლის გემს ბარიბალდის სახელი ჰქვიან. ბარიბალი ოთხმოცდა ათი ქალაქის სასატიო მოქალაქეა (Почетный гражданин), ას ოცი საზოგადოების ს-პატიო პრინციდენტი. დღემდის ბარიბალდის ოცდა ერთი სასატიო ხრამლი (почетная сажля) მოსვლია ურიცხვი თავყანის მცემლებისაგან და საზოგადოებათაგან. სამი წლის განმავლობაში ღენერალს ხუთი ათას ადრესზედ მეთი მოსვლია, რომლითაც იმას მხურვალე თანაგრძობას უცხადებენ ყოველის მხრიდან.

ინგლისის კოროლევას 1871 წლის აღწერით 230 მილიონი ქვეშევრდომი ჰყოლია. თვითონ ინგლისში, შოტლანდიაში და ირლანდიაში—31 მილიონი, რომელთა რიცხვი ითვლებიან 200 ათასი ინგლისელი, სხვა და სხვა მეროპის სახელმწიფოებში მცხოვრები; ამერიკაში—4 მილიონი; ინგლისის საკუთრება ანტლის კუნძულებზე—1 მილიონი; აფრიკაში—2 მილიონამდის, აესტრალიაში და ალბონ-საველიის ოკეანეში მდებარე კუნძულებზედ—2 მილიონამდის; ინდოეთის ზღვის კუნძულებზედ—300 ათასზედ და თვითონ ინდოეთში—191 მილიონზედ მეთი. საკუთრად ინგლისსა და შელის სამთავროში 23 მილიონი მცხოვრებია. ამით რიცხვი დედაკაცების რიცხვი 45 ათასით მეტია. როცა ეს ხალხის აღწერა მოხდა, იმ დროს ამ 23 მილიონიდან 155 სული კაცი ას წელზედ უხესი ყოფილა, იმათში 114 დედაკაცი და 41 მამაკაცი; გასათხოვარი და უძაწელი ქალების რიცხვი (15—21 წლისში) მილიონი და 246 ათასი ყოფილა. მთელი ეს 23 მილიონი ხალხი 4 მილიონსა და 260 ათასს სახლში მდგარა და თითქმის 5 მილიონსა და 50 ათას ოჯახს შეადგენდა თურმე. უცხო ქვეყნებში ინგლისში 800 ათასამდის ყოფილა, თუ რომ უცხო ქვეყნებში ჩაეთვლით იმათ. ვინც უცხო ქვეყნელი ინგლისის ქვეშევრდომია და ინგლისში დაბადებულია. ნამდვილი უცხო ქვეყნელების რიცხვი 140 ათასამდის თუ იქნება. ინგლისში 938 ქალაქი ყოფილა და ქალაქებში მცხოვრები 14 მილიონი. ინგლისში და შელის სამთავროში 700 ათასი ლიტერატორები, არტისტები, ადვოკატები და სასულიერო და სხვა ამგვარი საქმის კაცები ყოფილა. მოსამსახურეთ რიცხვი—5 მილიონი; მხენლო-მთესველებისა—1 მილიონი და 600 ათასი; სხვა მუშა ხალხი 5 მილიონზედ მეტი ყოფილა, (მუშა ქალების რიცხვიც ამითშია). მურდები და ავანაკება 168 ათასამდის; ბავშვების რიცხვი 7 მილიონ ნახევარი.

სსოგათ-ფურცელი

რკინის გზა	დილა	სალამი	საქმის გეგმა	ფურცელი	ბირჟა	თშვილისი მაზანდა	სახაზინო მაზანდა
ა) თშვილისი	8.3	8.17	ა) შავ-ზღვაზე	ა) თშვილისი	პეტერბურგი, 21 თებერ.	6 მარტი, 1874 წ.	95 — „ქავკასის პრიკაშიკი“ სამ-
მთილი	9.8	10.1	ბ) შავ-ზღვაზე	ბ) თშვილისი	ბანკის ბილითი 5%	პური შრევის	მარტველში ამ თვის 18 დანიშნუ-
მცხეთა	11.39	1.43	გ) შავ-ზღვაზე	გ) თშვილისი	მოგვიანი (პირველი ხესხის)	— მანჯის	ლია ვაჭრობა თშვილისის ქალაქის
სურამი	1.52	4.30	დ) შავ-ზღვაზე	დ) თშვილისი	მოგვიანი (მეორე ხესხის)	— შოთაგალის	ლოზარეთისათვის საჭირო საჭირო ნივ-
ქვირილა	6.49		ე) შავ-ზღვაზე	ე) თშვილისი	ქურსი	ქერი	თების მომზადებაზედ (ნახე ვაჭე-
მთიანის	7.55		ვ) შავ-ზღვაზე	ვ) თშვილისი	ერთ მანეთში იძლევიან.	ბამა შრევის	თი „ქავკასის“ № 26)
სამტრედია	9.02		ზ) შავ-ზღვაზე	ზ) თშვილისი	ლანდონში	— ამერიკისა	8 —
სახალსენავი	10.02		თ) შავ-ზღვაზე	თ) თშვილისი	პარიჟში	მაჟინტილი ბამა	8 —
შოთი	11.27		ი) შავ-ზღვაზე	ი) თშვილისი	ქენში	მატული თშუთი	6 —
ბ) თშვილისი	7.88		კ) შავ-ზღვაზე	კ) თშვილისი	ქენში	— თარაქული	4 —
შოთი	9.11		ლ) შავ-ზღვაზე	ლ) თშვილისი	ქენში	პარეჟში	7 —
სამტრედია	10.02		მ) შავ-ზღვაზე	მ) თშვილისი	ქენში	ქონი	350 —
მთიანის	11.17		ნ) შავ-ზღვაზე	ნ) თშვილისი	ქენში	ქონის სანთელი	6 —
ქვირილა	12.38		ო) შავ-ზღვაზე	ო) თშვილისი	ქენში	სტარინის სანთელი	11 —
სურამი	4.57		პ) შავ-ზღვაზე	პ) თშვილისი	ქენში	ხორცი ძროხის	80 —
მთიანის	7.23		ჟ) შავ-ზღვაზე	ჟ) თშვილისი	ქენში	— სხვების	90 —
მცხეთა	9.52		ჩ) შავ-ზღვაზე	ჩ) თშვილისი	ქენში	საქარტი	7 —
თშვილისი	10.49		ც) შავ-ზღვაზე	ც) თშვილისი	ქენში	შაქარი კარგი	8 —
გ) შავი თშვილისი	13.1		ძ) შავ-ზღვაზე	ძ) თშვილისი	ქენში	— მდარე	775 —
მცხეთა	9.0		წ) შავ-ზღვაზე	წ) თშვილისი	ქენში	— შენილი	6 —
ბორაზი	3.26		ყ) შავ-ზღვაზე	ყ) თშვილისი	ქენში	— შავ ბრგვლი	20 —
სურამი	5.22		ჩხ) შავ-ზღვაზე	ჩხ) თშვილისი	ქენში	— საშული	1850 —
მთიანის	9.1		ცხ) შავ-ზღვაზე	ცხ) თშვილისი	ქენში	— მდარე	1650 —
შოთი	13.1		ძხ) შავ-ზღვაზე	ძხ) თშვილისი	ქენში	— მდარე	7 —
			წხ) შავ-ზღვაზე	წხ) თშვილისი	ქენში	— მდარე	4 —
			ყხ) შავ-ზღვაზე	ყხ) თშვილისი	ქენში	— მდარე	6 —